



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა,  
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
2023 წლის 22-23 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
2024 წლის 05 თებერვალი

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	37

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

<b>თავმჯდომარე</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	აზიმ მირზაზადევი, თეირანის მედიცინის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ირანი.
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გოდერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ვერონოვი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გაგუა, გაგუას კლინიკა
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი აბულაძე, სტუდენტთა წარმომადგენელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	დიპლომირებული მედიკოსი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Medical Doctor
უმაღლესი განათლების საფეხური	VII
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

შეფასებული პროგრამა წარმოადგენს დიპლომირებული მედიკოსის ახალ, ერთსაფეხურიან პროგრამას ინგლისურ ენაზე. პროგრამა ისწავლება 12 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 360 ECTS კრედიტს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაარსდა 90-იან წლებში და აქვს რამდენიმე პროგრამა სხვა დისციპლინებში. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ცოტა ხნის წინ შეიცვალა და ახალმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მედიცინის პროგრამა განეხორციელებინა ინგლისურ ენაზე.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსში ვიზიტის ორგანიზება მოხდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
2. შეხვედრები მოეწყო სტანდარტების სფეროების მიხედვით. ასევე გვექონდა შეხვედრა მოწვეულ და აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან. პირველ შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა 1-ელ სტანდარტს, შევხვდით უნივერსიტეტის რექტორს, პრორექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ზოგიერთ სხვა წევრს (2023 წლის 22 დეკემბერი).
3. ამის შემდეგ ჩვენ გვექონდა 3 შეხვედრა 1-ელ, მე-2 და მე-3 სტანდარტების გარშემო. ვიზიტის პირველი დღის შუადღისას გვექონდა შეხვედრა ორ კლინიკაში: თოდუას ინსტიტუტში და რაიმანის კლინიკაში.
4. დაწესებულებაში ვიზიტს პირადად ესწრებოდა გუნდის ყველა წევრი უცხოელი ექსპერტის ჩათვლით. რამდენადაც პროგრამა ახალია, გასაუბრება მედიცინის პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან არ ჩატარებულა.
5. ვიზიტის მეორე დღეს შევხვდით უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენელს, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს და ასევე გვექონდა 2 შეხვედრა ორი დარჩენილი სტანდარტის თაობაზე (მე-4 და მე-5). გუნდმა შუადღისას მოინახულა კლასები, პრაქტიკული ლაბორატორიები, კლინიკური უნარებისა და სიმულაციური ცენტრი და ბიბლიოთეკა.
6. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პრორექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს და მიაწოდა მათ ჯგუფის დასკვნის რეზიუმე.

### ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1	1.1: შესაბამისობა შია	1.2: შესაბამისობა შია	1.3: შესაბამისობა აშია	1.4: შესაბამისობა შია	1.5: ნაწილობრივ შესაბამისობა
სტანდარტი 2	2.1: შესაბამისობა შია	2.2: მეტწილად შესაბამისობა შია	2.3: ნაწილობრივ შესაბამისობა შია	2.4: შესაბამისობა შია	
სტანდარტი 3	3.1: შესაბამისობა შია				

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი 4	4.1: მეტწილად შესაბამისობა შია	4.2: -	4.3: შესაბამისობა შია	4.4: ნაწილობრივ შესაბამისობა შია	4.5: შესაბამისობა შია
სტანდარტი 5	5.1: შესაბამისობა შია	5.2: მეტწილად შესაბამისობა	5.3: შესაბამისობა შია		

▪ **რეკომენდაციები**

1. კლინიკური უნარების სილაბუსების შინაარსის გადახედვა სტუდენტების დონესთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
2. სავალდებულო ლიტერატურის მნიშვნელოვანი განახლება სილაბუსების უმეტესობაში.
3. აქცენტი თითქმის არ კეთდება პროფესიონალიზმსა და შესაბამის უნარებზე.
4. აქცენტი კეთდება კვლევის უნარებზე, მაგრამ ნაკლებად პროფესიული უნარების განვითარებაზე.
5. რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების მნიშვნელოვანი გადახედვა. ხარვეზების დეტალები უკვე იყო მოხსენიებული.
6. უნდა დაზუსტდეს პორტფოლიოს გამოყენების მიზანი – როგორც შეფასების, ისე სწავლების მეთოდის; დაზუსტდეს და მიეთითოს პროგრამაში მისი განხორციელების პროცედურა.
7. ობიექტირად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას გამოყოფილი აქვს მხოლოდ 30% შეფასებაში, დანარჩენი ეთმობა პრეზენტაციებსა და არჩევითპასუხიან კითხვებს კლინიკურ საგნებში, რაც, ჩვენის აზრით, ნაკლებად შეესატყვისება რეალურ საჭიროებას.
8. აკადემიური პერსონალი სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული პროგრამაში და გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი როლი და პასუხისმგებლობა.
9. ობიექტირად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ცენტრში უნდა იყოს კარგად ორგანიზებული, სტუდენტების რაოდენობის ადეკვატური სივრცეები.
10. კლინიკური ლაბორატორიები უნდა იყოს განახლებული და კარგად აღჭურვილი.
11. ბიბლიოთეკა საჭიროებს შემდგომ განვითარებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს წიგნების ადეკვატური მარაგი.
12. საჭიროა პროგრამის აზრიანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შემუშავების პროცესში.
2. გაუმჯობესდეს კონცეპტუალური ჩარჩო და სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის განვითარების ურთიერთდამოკიდებულება პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებზე.
3. კარგი იქნებოდა, თუ უფრო ზუსტად იქნება წარმოდგენილი კლინიკური უნარების სწავლების გრადაცია და კლინიკურ საგნებში პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობები.
4. კომუნიკაციის უნარები არ უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ პირველ სემესტრში. გაანაწილეთ პროგრამაში კომუნიკაციის უნარების სწავლება მთელი 6 წლის განმავლობაში.
5. ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი უნდა ისწავლებოდეს როგორც საგნები.
6. კლინიკური უნარები II-ს ეთმობა მე-3 სემესტრი და როგორც ჩანს აღნიშნული სემესტრი საკმაოდ დატვირთულია.
7. ორგანიზმის სისტემები II -ის სილაბუსის მიხედვით შეფასებებში არ გამოიყენება შეფასების აქტიური მეთოდი და მნიშვნელოვანია მისი დამატება.
8. უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის

შესაძლებლობები.

9. უზრუნველყავით პროგრამის პერიოდული გადახედვა და მონიტორინგი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>
  
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
  
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

---

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციას და უწყვეტ განათლებას. უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებას. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზანია გახდეს საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების, ეფექტური მენეჯმენტის, კვლევისა და საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ ემსახურება სტუდენტებისა და პერსონალისთვის საჭირო გარემოს შექმნას, რათა მათ პატივი სცენ საზოგადოებრივ ღირებულებებს და განახორციელონ უწყვეტი სწავლის პრინციპი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი მაღალი ეთიკური სტანდარტებით, ღრმა და სისტემატური ცოდნით, შესაბამისი უნარებით, აუცილებელი კომპეტენციებითა და პროფესიული ღირებულებებით ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის და დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ აირჩიონ კარიერული განვითარების შემდეგი გზები:

- ✓ იმუშაონ უმცროს ექიმად,
- ✓ გააგრძელონ სწავლა - ა) რეზიდენტურაში, დამოუკიდებელი სამედიცინო პრაქტიკისათვის, ბ) დოქტორანტურაში.
- ✓ სამეცნიერო ან/და სასწავლო საქმიანობა.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზნებია:

1. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მედიცინის განვითარების ტენდენციებთან, სამედიცინო ტექნოლოგიების პროგრესთან და გლობალურ გამოწვევებთან.



2. ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად შედეგზე ორიენტირებული განათლების პრინციპისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებად გარდაქმნა, კლინიკური, ანალიტიკური და საკომუნიკაციო უნარების ჩამოყალიბება.
3. პაციენტზე ორიენტირებული ეთიკური ღირებულებებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბება, პაციენტის უფლებებისა და ინტერესების პატივისცემა, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა.
4. სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს დაგეგმვის, განხორციელების და ანალიზის უნარის განვითარება. ბიოსამედიცინო კვლევისა და სამეცნიერო დისკუსიების პროფესიული ეთიკის პრინციპების დაუფლება.
5. დამოუკიდებელი აქტიური თვითსწავლის ჩვევის ჩამოყალიბება, პროფესიული უნარების უწყვეტი განვითარების აუცილებლობა და პროფესიონალიზმის, პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ უწყვეტი სწრაფვის მოტივაციის განვითარება.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მედიცინის სფერო - როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე, ძირითადი ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების ცოდნის, შესაბამისი პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების მქონე, ეთიკური ნორმებისა და მაღალი პროფესიული სტანდარტებისადმი ერთგული კურსდამთავრებულებით.

პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების პროცესს წინ უძღოდა შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და მსგავსი პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა, პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებების ანალიზი და ა.შ.

პროგრამის მიზნები არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი, ისინი ასახავენ წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, საჯარო და ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- IBSU-ს თვითმფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შემუშავების პროცესში.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------



**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგები სისტემატიზებულია კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს (NQF) შეფასების კრიტერიუმებისა და მედიცინის სფეროში კომპეტენციების ინტეგრაციის საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებლებს. სწავლის შედეგები გაზომვადი და რეალისტურად მიღწევადია, ესადაგება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. პროგრამის სწავლის შედეგები დაიგემა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის თითოეული კომპონენტის შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და კრედიტების ოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შექმნილია ისე, რომ მიაღწიოს არა მხოლოდ ცალკეული კურსების შედეგებს, არამედ უზრუნველყოს ამ კურსებს შორის ლოგიკური, თანმიმდევრული კავშირები.

პროგრამის სწავლის შედეგები:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- სწავლის შედეგი 1: ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებებისა და დარგის ძირითადი პრინციპების სიღრმისეული და სისტემატური ცოდნა და გააზრება.

**უნარები:**

- სწავლის შედეგი 2: პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა
- სწავლის შედეგი 3: კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციალური დიაგნოზი, დაავადების მართვის გეგმის განხილვა
- სწავლის შედეგი 4: გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (პირველი დახმარება და რეანიმაცია)
- სწავლის შედეგი 5: მედიკამენტების შერჩევა და დანიშნულება
- სწავლის შედეგი 6: პრაქტიკული პროცედურების განხორციელება
- სწავლის შედეგი 7: ეფექტიანი კომუნიკაციის განხორციელება სამედიცინო კენტექსტში
- სწავლის შედეგი 8: სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება
- სწავლის შედეგი 9: პაციენტის ავადმყოფობის ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების გათვალისწინება, იდენტიფიკაცია და შეფასება

- სწავლის შედეგი 10: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება
- სწავლის შედეგი 11: ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სამედიცინო კონტექსტში
- სწავლის შედეგი 12: სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის მეცნიერული პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.
- სწავლის შედეგი 13: ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- სწავლის შედეგი 14: ღირებულებები და პროფესიონალიზმი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური)
- o IBSU-ს თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევა გულისხმობს პირველ რიგში ამ შედეგების გაზომვადი ინდიკატორების შერჩევას, მათ დადგენას შეგროვების სისტემისა და ზუსტი და ობიექტური ანალიზის მეშვეობით. თითოეული ინდიკატორისა და შეფასების მეთოდის სიხშირე, ჩატარება და დეტალური

რაოდენობრივი განსაზღვრა ასახულია სილაბუსებში და გამჭვირვალეა როგორც პროცესის დამკვირვებლის, ასევე სტუდენტებისათვის.

შესაბამისად, შედეგების შეფასების მეთოდები განსხვავებულია. თანდათანობით გადადის მარტივი „სწორი/მცდარი“ არჩევითაპასუხიანი კითხვებიდან გაფართოებულ ქვიზებზე, ან ღია დაბოლოებიან კითხვებზე, შემთხვევაზე დაფუძნებულ დისკუსიებზე, ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე (OSCE) და სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების მეთოდებზე (WPBA). ეს ასახულია პროგრამის შედეგების შეფასების გრაფიკში, სადაც დგინდება, პროგრამის რომელ კომპონენტები მიაღწევენ კონკრეტულ შესაფასებელ შედეგს და შეფასების რომელი ინსტრუმენტი იქნება გამოყენებული მის შესაფასებლად. ყველა კომპეტენცია შეფასდება მინიმუმ ორჯერ, რაც საშუალებას მოგვცემს, საჭიროების შემთხვევაში, პირველი შეფასების ანალიზის შემდეგ გადავხედოთ სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიას ან/და თავად შეფასების მეთოდოლოგიას. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (ან პრაქტიკული) გამოცდა (OSCE ან OSPE) გამოყენებული იქნება პროგრამის 30 სავალდებულო კურსში/საგანში, ხოლო სხვა 19 კურსში, შეფასების სხვა ინოვაციური მეთოდები - შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსიები (CBD), პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება (DOPS), მინი კლინიკური გამოკვლევის შეფასება (Mini-CEX), 360-გრადუსიანი სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება და ა.შ.

სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი, როგორც ინსტრუქტორებისა და პროგრამის ადმინისტრაციის, ასევე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტი იყენებს მიმდინარე და საბოლოო შეფასებას და აღწერით (განმავითარებელ) ინდივიდუალურ და აქტიურ გამოხმაურებას თითოეულ სტუდენტთან.

იმის გამო, რომ სტუდენტები არ არიან ჩარიცხულნი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე, სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება და აკადემიური მოსწრების ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა.

მართალია, პროგრამა იყენებს შეფასების რამდენიმე მეთოდს თითოეული სტუდენტის დონეზე შედეგების მიღწევის შესაფასებლად, მაგრამ ხასიათით, ეს სტანდარტები ფოკუსირებულია პროგრამაზე და არა სტუდენტებზე და ამიტომ უნივერსიტეტმა უნდა აჩვენოს მკაფიო და კარგად განსაზღვრული რუკა, თუ როგორ იყენებს სხვადასხვა შეფასების მეთოდის შედეგებს, როგორია ამ ინფორმაციის გამოყენების დეტალური პოლიტიკა და პროცედურები პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუები პერსონალთან

### **რეკომენდაციები:**

- .

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების შესაბამისად და შეესაბამება მედიცინის სფეროს მახასიათებლების მოთხოვნებს. სილაბუსებით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია. ინტეგრირებულ კურსებს აქვს 86 ECTS. უფრო მეტიც, ინტეგრაცია მოიცავს როგორც საბაზისო, ისე კლინიკურ კურსებს. ჰორიზონტალური ინტეგრაციის მაგალითებია 4 ძირითადი საგნის გაერთიანება (ანატომია, ჰისტოლოგია, ბიოქიმია, ფიზიოლოგია) ერთ მოდულში - სხეულის სისტემები - ასევე შინაგანი მედიცინის ნაწილების გაერთიანება 3 მოდულში - შინაგანი მედიცინა I (კარდიოლოგია, პულმონოლოგია), შინაგანი მედიცინა II (გასტროენტეროლოგია, ჰემატოლოგია), შინაგანი მედიცინა III (ნეფროლოგია, რევმატოლოგია, ენდოკრინოლოგია).

ამავდროულად, პროგრამა ასევე ეყრდნობა საგნების ტრადიციულ დაყოფას - საბაზისო/პრეკლინიკურ და კლინიკურ საგნებად. თუმცა, ამავდროულად, სასწავლო კურსების დიდი რაოდენობა ვერტიკალურად არის ინტეგრირებული. გარდა ამისა, შედარებით მოკლე 2 და 3 სემესტრიანი კურსების გარდა (როგორებიცაა, მაგალითად, 2-სემესტრიანი საგნები - მიკრობიოლოგია/ვირუსოლოგია, ძირითადი ფარმაკოლოგია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია/ადამიანის გენეტიკა, შესავალი შინაგანი მედიცინაში, კლინიკური როტაცია და 3-სემესტრიანი - პედიატრია და შინაგანი მედიცინა), ასევე არის 4 სემესტრად დაყოფილი საგნები: სხეულის სისტემების სტრუქტურა და ფუნქციები I-V; პათოლოგია I-IV, ქირურგია I-IV, კლინიკური უნარები I-IV (4 წლის განმავლობაში).

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში სილაბუსების მომზადებით და შემდგომ განხილვით პროგრამის ხელმძღვანელებთან და სამედიცინო სკოლის დეკანთან.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, უკეთესი იქნებოდა წარმოდგინათ პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებზე სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო და ურთიერთკავშირი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გაუმჯობესდეს კონცეპტუალური ჩარჩო და სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის განვითარების ურთიერთდამოკიდებულება პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებზე.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და შედეგები, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოთი გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. კურსები, საგნები და მოდულები კარგად არის წარმოდგენილი, როგორც პროგრამის სტრუქტურაში, ასევე განსაკუთრებით ერთფეროვნად ფორმატირებულ სილაბუსებში.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის საწყის ეტაპზე კლინიკური უნარების სწავლაზე (იწყება პირველი წლიდან), რაც შეესაბამება უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, დადებით გავლენას ახდენს სტუდენტების ადრეული კონტაქტი კლინიკურ გარემოსთან და პრაქტიკული უნარების სწავლა სიმულატორებზე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ადრეული კლინიკური გამოვლინებების შინაარსი შეესაბამებოდეს სტუდენტების დონეს. კლინიკური უნარების კურსი 1-ის (სემესტრი II) სილაბუსზე დაყრდნობით, არსებობს უამრავი მოწინავე პროცედურა, რომელიც შორს არის სტუდენტების დონისაგან. ეს ასევე აშკარაა კლინიკური უნარები 2-ის სილაბუსში (სემესტრი III). ამ სილაბუსში სტუდენტებს უნდა შეეძლოთ მართონ ჩვეულებრივი ძვალ-კუნთოვანი დაავადებები, მათ შორის მხრის ამოვარდნილობა, კვირისტავის ამოვარდნილობა, თითის ამოვარდნილობა, იდაყვის მყის დაზიანება და ცხვირიდან სისხლისდენის შეჩერება ან ცხვირიდან უცხო სხეულის ამოღება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) გამოიყენება კლინიკური უნარების შეფასებისას ადრეულ ეტაპზე (I და II სემესტრებში).

მიუხედავად ამისა, კარგი იქნებოდა, თუ უფრო ზუსტად იქნება წარმოდგენილი კლინიკური უნარების სწავლების გრადაცია და კლინიკურ საგნებთან პრაქტიკული უნარების შეძენის ინტეგრაციის შესაძლებლობები.

პროგრამაში ასევე აქცენტირებულია კომუნიკაციის უნარების ადრეული სწავლება, რომელიც ასევე ფასდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით სიმულირებული პაციენტების გამოყენებით. ამასთან, გაუგებარია, რა მოცულობით ისწავლება ეს უნარები მოგვიანებით და როგორ ვლინდება აღნიშნული უნარების ცოდნის შეფასება კლინიკურ სტადიაზე.

სილაბუსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურის უმეტესობა ძალიან მოძველებულია. ეს არის რამდენიმე მაგალითი:

- ✓ კლინიკური უნარები (2005წ.)
- ✓ ემერის გენეტიკა (2017წ.)
- ✓ ბიოქიმია (თომასი და დელვინი, 2011წ. და ჰარპერი 2011წ.)
- ✓ ფიზიოლოგია (გაიტონი 2016წ.)
- ✓ ანატომია (გრეი 2015წ.)
- ✓ ჰისტოლოგია (ჯენქუეირა 2013წ.)
- ✓ შინაგანი მედიცინა (ჰარისონი 2018წ.)
- ✓ იმუნოლოგია (2013წ.)
- ✓ ფიზიკური გამოკვლევა (ბეიტსი 2017წ.)

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- დანართები
- ინტერვიუს შედეგები

#### **რეკომენდაციები:**

- კლინიკური უნარების სილაბუსების შინაარსის გადახედვა სტუდენტების დონესთან შესაბამისობაში მოყვანით
- სავალდებულო ლიტერატურის მნიშვნელოვანი განახლება სილაბუსების უმეტესობაში

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**



- კარგი იქნებოდა, თუ უფრო ზუსტად იქნება წარმოდგენილი კლინიკური უნარების სწავლების გრადაცია და კლინიკურ საგნებში პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობები.
- გაანაწილეთ პროგრამაში კომუნიკაციის უნარების სწავლება მთელი 6 წლის განმავლობაში.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას.

წარსადგენი დოკუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი (სახელმწიფოს მიერ დადასტურებული) დოკუმენტი (სერთიფიკატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;



- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით.

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ბარიერის გადალახვა, ინგლისურ ენაში გამოცდის გარდა. ინგლისური ენის კომპეტენციის მინიმალური დონეა 80%.

ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - B2 დონეზე ზოგადი ევროპული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNICert®, EnglishScore და ა.შ.) წარდგენა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ამოწმებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს მის მიერ შემუშავებული დებულებისა და დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოქმედი ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტი უცხო ქვეყანაში, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმავდროულად საქართველოს მოქალაქეებისა), რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტი საქართველოში, საქართველოს მიერ აღიარებული უცხოური ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით; ბ)

საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და ისწავლეს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი უცხო ქვეყანაში; ც) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე და გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიიღეს კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიიღეს კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 75 დღისა.

ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის მიღების წინაპირობებია:

- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - B2 დონეზე ზოგადი ევროპული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNICert®, EnglishScore და ა.შ.) წარდგენა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ამოწმებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს ორგანიზებული ტესტის საშუალებით, რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებას და ანალიზს, ლაპარაკს და შეესაბამება დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოქმედი ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს ან:

- აბიტურიენტებისთვის, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ ინგლისურენოვანი განათლება, შესაბამისი დოკუმენტების (მაგ. ატესტაცია, სერტიფიკატი და ა.შ.) წარდგენის საფუძველზე, ასევე საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება ინგლისურ ენაზე ან მისი ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში და წარადგენენ შესაბამის დოკუმენტს (მაგ. სერტიფიკატს, ცნობას და ა.შ.).

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის პროგრამაზე დაშვების პირობები მითითებულია ბმულზე - <https://iro.ibsu.edu.ge/en/home>. კანონის შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის პრინციპით.

უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აბიტურიენტებს შეხვედრების დროს აწვდის ინფორმაციას სკოლის პროგრამების შესახებ.

პროგრამა და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე 6 წლის განმავლობაში დაგეგმილია 2000 სტუდენტის ჩარიცხვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://ibs.edu.ge/>

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას. აღნიშნული საკითხი დასტურდება უნივერსიტეტის დოკუმენტში „კვლევითი პოლიტიკა (2018-2025წწ.)“, რომელიც 2018 წელს დაამტკიცა უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ. მისი განახლება განხორციელდა 2021 წლის 14 ივლისს. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ აქცენტებს: ინტერნაციონალიზაციას, კვლევითი ქსელის გაფართოებას, გაცვლითი პროექტების განხორციელებას, ადგილობრივი და საგრანტო დაფინანსების გაზრდას.

მედიცინის პროგრამაში დაწესებულებამ დააკონკრეტა, რომ სტუდენტის მიერ სამეცნიერო უნარების განვითარება ხორციელდება მეცნიერული კვლევის საფუძვლების 5 სავალდებულო კურსით. თეორიული სწავლება ტარდება "სამეცნიერო კვლევის უნარები და მეთოდები I-II-სა" (3+3 ECTS კრედიტი) და "ბიოსტატისტიკაში" (4 ECTS კრედიტი), ხოლო პრაქტიკული უნარების დახვეწა - "ეპიდემიოლოგიის" (4 ECTS კრედიტი) და "საკურსო ნაშრომის" (4 ECTS კრედიტი) განმავლობაში.

პროგრამის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კომუნიკაციის უნარები ისწავლება მხოლოდ პირველ სემესტრში. ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი არ ჩანს არცერთ სემესტრში. პროფესიონალიზმი და მსგავსი უნარები არ ზიანდება. კლინიკური უნარები II ისწავლება მე-3 სემესტრში და როგორც ჩანს ეს სემესტრი საკმაოდ დატვირთულია. აქცენტი კეთდება კვლევის უნარებზე, მაგრამ ნაკლებად პროფესიული უნარების განვითარებაზე.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს ძირითადი კვლევითი საქმიანობის პრაქტიკას - ლაბორატორიული მომზადების იდენტიფიცირებას, სხეულის ანატომიური სტრუქტურების იდენტიფიკაციას და სწორად დასახელებას, ფიზიოლოგიურ კვლევებს თავად სტუდენტების მონაწილეობით და მათი ფუნქციური მაჩვენებლების შესწავლით (მაგ. ეკგ, სპირომეტრია, პულსის მონიტორინგი, წნევა და სუნთქვის სიხშირე სხვადასხვა ვარჯიშის შესრულების შემდეგ და ბიოქიმიური პროცესების ანალიზს).

სხვადასხვა ტიპის კვლევითი ნაშრომის - რეფერატის/ესეს ან ლიტერატურის მიმოხილვის რეფერატის დამუშავებას.

პროგრამაში კვლევითი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და პრეზენტაციისთვის საჭირო ცოდნის დაგროვებისა და უნარების განვითარებაზე საერთო ჯამში გამოყოფილია 10 ECTS კრედიტი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში იმართება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები.

2024-27 წლებისათვის სკოლის საბჭო პრიორიტეტულად განიხილავს შემდეგ სამეცნიერო კვლევით მიმართულებებს: ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა. სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სამეცნიერო კვლევების მიმართულებით - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, აკად. ბერიტაშვილის სახლობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან, ლაბორატორია "რეიმანთან".

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტში გამართული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები. უნივერსიტეტის ვებგვერდის მასალები- <https://ibsu.edu.ge/ge/scientific/student-conference/>
- თანამშრომლობის მემორანდუმები სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

### **რეკომენდაციები:**

- აქცენტი თითქმის არ კეთდება პროფესიონალიზმსა და შესაბამის უნარებზე.
- აქცენტი კეთდება კვლევის უნარებზე, მაგრამ ნაკლებად პროფესიული უნარების განვითარებაზე.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კომუნიკაციის უნარები არ უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ პირველ სემესტრში.
- ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი უნდა ისწავლებოდეს როგორც საგნები.
- კლინიკური უნარები II-ს ეთმობა მე-3 სემესტრი და როგორც ჩანს აღნიშნული სემესტრი საკმაოდ დატვირთულია.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილია როგორც ტრადიციული (ვერბალური/ზეპირი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერილობითი მუშაობის მეთოდი, პრეზენტაციის მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, საწოლთან სწავლების მეთოდები), ასევე პირველი კურსის სტუდენტებისთვის პრობლემზე დაფუძნებული სწავლება (ჯერ კიდევ პრეკლინიკურ ეტაპზე). გუნდური სწავლა/თანამშრომლობითი მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case-based Learning) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი. ასევე, პირდაპირი დაკვირვების ქვეშ ჩატარებული პრაქტიკული/ლაბორატორიული მეთოდები (მიკროსკოპული პრეპარატების ამოცნობა, მიკრობებზე ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარება, სიმულაციური შემთხვევების შედგენა და წარმოდგენა (მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია 2), ანატომიური პრეპარატების სწორი დასახელება და ფუნქციური და სტრუქტურული პათოლოგიების განზოგადება პრობლემის განხილვისას და ა.შ.), კლინიკური უნარები, (მათ შორის მანეკენებზე და ტრენაჟორებზე, აგრეთვე სტანდარტიზებული პაციენტების განხილვითა თუ ექიმ-პაციენტის როლური თამაშების მეშვეობით), კვლევის უნარები და მეთოდოლოგია და კომუნიკაციის უნარები დაწყებული პირველი წლიდან. სასწავლო პროგრამა ხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სექტორის მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში და თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია სწავლებისა და სწავლის რამდენიმე მეთოდი, არსებობს რამდენიმე ძირითადი პრობლემა:

- ✓ რამდენიმე დასახელება, როგორცაა ვერბალური მეთოდები, სახელმძღვანელოს მეთოდები და ახსნის მეთოდები, მოხსენიებულია როგორც სწავლებისა და სწავლის მეთოდები. მიუხედავად

იმისა, რომ ეს ელემენტები შეიძლება იყოს ზოგიერთი სწავლებისა და სწავლის მეთოდის ახსნის ნაწილი, ისინი არ არიან აღიარებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებად.

- ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, როგორც სწავლებისა და სწავლის ცნობილი მეთოდი, არაერთხელ არის ნახსენები სილაბუსებში. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, თავისი ბუნებით, მოიცავს რამდენიმე (ჩვეულებრივ სამ) თანმიმდევრულ სესიას თემის ირგვლივ. ამიტომ უაზრო იქნებოდა, როდესაც შავი ზღვის უნივერსიტეტის ზოგიერთ სილაბუსში არის მხოლოდ ერთი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) სესია მთელი კურსის განმავლობაში. ერთ-ერთ სილაბუსში (უჯრედული მოლეკულური ბიოლოგია და ადამიანის გენეტიკა) უბრალოდ ნახსენებია "PBL თემების განაწილება ჯგუფებში" და მეტი არაფერი ამის შემდეგ.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა დაადასტურა აქტიური სწავლებისა და სწავლის მეთოდებისადმი ერთგულება, ბევრ სილაბუსში არის რამდენიმე სესია, რომელშიც გამოიყენება აქტიური სწავლებისა და სწავლის მეთოდები, თუმცა ზოგიერთ მათგანში (როგორცაა "სხეულის სისტემის ფუნქცია II" ან "შინაგანი მედიცინა III") აქტიური მეთოდები საერთოდ არაა გამოიყენებული.
- ✓ სწავლის ტრადიციული მეთოდების პარალელურად, პროგრამაში პირველივე ეტაპიდან გამოიყენება "შებრუნებული სწავლება", განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა დისტანციური სწავლება, თუმცა რომელ სილაბუსშია აღნიშნული მეთოდი, ექსპერტებისთვის გაურკვეველი დარჩა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს საინფორმაციო ტექნოლოგიები და ქსელი, ოფლაინ და ონლაინ ბიბლიოთეკის რესურსები და საჭიროების შემთხვევაში - ონლაინ და ჰიბრიდული სწავლება. უცხოელი სტუდენტების სოციალური ადაპტაციისა და კლინიკური ეტაპისთვის პაციენტებთან და ადგილობრივ კოლეგებთან კომუნიკაციისთვის განსაზღვრულია ქართული ენის სწავლება 12 კრედიტის ფარგლებში 3 სემესტრის განმავლობაში.

განათლების, სამედიცინო პრაქტიკის სხვადასხვა საფეხურზე კლინიკებში პრაქტიკული უნარების გაძლიერების და გარკვეული ავტომატიზაციის დამკვიდრების მიზნით შემოდის ცვლები, რაც პარტნიორ კლინიკებთან თანამშრომლობის ერთ-ერთი ასპექტია. ასევე, სოციალური აქტივობები (ვიზიტები და დახმარება ბავშვთა სახლებში, მოხუცთა სახლებში და ჰოსპისებში). ვიზიტის დროს გამართულ ინტერვიუში დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს (და ასევე მითითებულია თვითშეფასებაში), რომ აღნიშნული აქტივობები გათვალისწინებული იქნება განმავითარებელ შეფასებებში (პორტფოლიო). სილაბუსების განხილვისას, პორტფოლიო - რა მიზნით და რომელ სილაბუსში გამოიყენება შეფასების მეთოდად თუ სასწავლო მეთოდად, საჭიროებს დაზუსტებას.

სწავლებისა და სწავლის პროცესში მეთოდები ავსებენ ერთმანეთს და გადადიან ერთმანეთში. (მაგალითად, სიმულატორებზე გამოცდილების მიღება და აღნიშნული ცოდნის შემოწმება OSCE-ს დროს, შემთხვევის განხილვა და შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია და ა.შ.). კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები ასახულია შესაბამის სილაბუსებში. ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას გამოყოფილი აქვს 30% შეფასებებში, დანარჩენი მოდის კლინიკურ საგნებში პრეზენტაციაზე და არჩევითპასუხიან კითხვებზე, რაც ვფიქრობთ რეალურ საჭიროებასთან შედარებით ნაკლებია.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების მნიშვნელოვანი გადახედვა. ხარვეზების დეტალები უკვე იყო მოხსენიებული.
- უნდა დაზუსტდეს პორტფოლიოს გამოყენების მიზანი – როგორც შეფასების, ისე სწავლების მეთოდის; დაზუსტდეს და მიეთითოს პროგრამაში მისი განხორციელების პროცედურა.
- ობიექტირად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას გამოყოფილი აქვს მხოლოდ 30% შეფასებაში, დანარჩენი ეთმობა პრეზენტაციებსა და არჩევითპასუხიან კითხვებს კლინიკურ საგნებში, რაც, ჩვენის აზრით, ნაკლებად შეესატყვისება რეალურ საჭიროებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ორგანიზმის სისტემები II-ის სილაბუსის მიხედვით შეფასებებში არ გამოიყენება შეფასების აქტიური მეთოდი და მნიშვნელოვანია მისი დამატება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

